საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი

საქნახშირი

პრესრელიზი

შრომის ინსპექტორები მეშახტეთა შრომისა და უსაფრთხოების პირობებს გაეცნენ

„საქნახშირი ჯი-აი-ჯის“ მენეჯმენტი მინდელის სახელობის შახტებში აგრძელებს შრომითი უსაფრთხოების პირობებზე ზრუნვას. 29 თებერვალს მიღწეული შეთანხმების ფარგლებში, კომპანიამ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის ინსპექტორებს არსებული პირობები გააცნო. სამინისტროს წარმომადგენლებს ადგილზე მიეცათ საშუალება დაეთვალიერებინათ დასაქმებულების სამუშაო პირობები, რის შემდეგაც კომპანია შესაბამის რეკომენდაციებს მიიღებს.

„საქნახშირი ჯი-აი-ჯის“ ადმინისტრაცია მიესალმება თანამშრომლობის ამ ფორმას და გამოთქვამს მზაობას მიღებული რეკომენდაციების შესაბამისად დასახოს სამოქმედო გეგმა.

04.03.2016

შპს "საქნახშირი ჯი-აი-ჯი" დაარსდა 2006 წლის აპრილში. მისი დამფუძნებელია ,,ჯი-აი-ჯი''. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ქვანახშირის მოპოვებითი სამუშაოები და შემდგომი გამდიდრება. დღესდღეობით საქნახშირი საქართველოში ქვანახშირის აქტივების ძირითადი მფლობელი და ერთადერთი მომპოვებელი კომპანიაა.

კომპანიის ძირითად აქტივებს წარმოადგენს ძიძიგურის და მინდელის სახელობის მაღაროები, რომლებიც მდებარეობს ტყიბული-შაორის საბადოების ტერიტორიაზე.

შპს "საქნახშირი ჯი-აი-ჯი ჯგუფი"
თაბუკაშვილის ქ. 13, 4300, ტყიბული
ტელ.: +995 95 74 74 73
www.gig.ge

გთხოვთ მოგვმართოთ:
E-mail: m_manjgaladze@gig.ge
Mob: 995 577 77 03 06
E-mail: n_bandzeladze@gig.ge
Mob: 995 577 77 03 01

შემოგვიერთდით:
Georgian Industrial Group Holding